407(077)
ჟ-20

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიული გივის ასული ქალუტაშვილი

# კომპიუტერის გამოყენების ძირითადი ფორმები და საშუალებები სკოლაში უცხოური (ინგლისური) ენის სწავლებისას

13.00.02. უცხო ენის სწავლების მეთოდიკა

## ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 1998

შემოსულია № 75
„27" 05 1998 წ.

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები: 1. პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შ.შათირიშვილი
2. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნ.ბულია

ექსპერტი: პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბ. იმნაძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს.ჟორდანია
2. პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ.დოლონაძე

წამყვანი ორგანიზაცია: საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 18 ივნის, 11 საათზე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიური დარგის სადისერტაციო საბჭოს (PB. 13. 00. C. №1) სხდომაზე

მისამართი: 380079, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №32.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
ავტორეფერატი დაიგზავნა 1998წ. 18.05.

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. ...

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — ციალა ლოლაძე

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

აქტუალობა. სკოლაში კომპიუტერის გამოყენებით სწავლება სულ უფრო და უფრო დიდ მასშტაბს იღებს. ეს პროცესი ძირითადად დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნიკის განვითარებასთან. სკოლაში უცხოური ენების კომპიუტერული სწავლება პირველ ეტაპზე ითვალისწინებს,რომ მოსწავლეებმა გაიცნონ ინფორმატიკის საფუძვლები.ხოლო მეორე ეტაპზე მიიღონ ცოდნისა და სამეტყველო მოქმედებათა პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

კომპიუტერით სწავლების პირველ ეტაპზე მოსწავლეებს გავაცნობთ გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ფორმებს, ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში,განსაკუთრებით ხაზგასმით გავაანალიზებთ კომპიუტერული სწავლების თეორიულსა და პრაქტიკულ საფუძვლებს ენის დაუფლების პროცესში.სკოლადამთავრებულს უნდა შეეძლოს ინფორმაციის დამუშავება და პროგრამის შედგენა რამდენიმე ალგორითმულ ენაზე.

-1630-

მეორე ეტაპი, დაკავშირებულია გამოთვლითი ტექნიკის,კერძოდ კომპიუტერის პრაქტიკულ სრულყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან.ალგორითმული ენის ცოდნა და ამ ენაზე სასწავლო ამოცანების პროგრამების შედგენა - ეს არის კომპიუტერული წიგნიერება.უდავოა, კომპიუტერის გამოყენება დღეისათვის წარმოადგენს სწავლების აუცილებელ ატრიბუტს. თანამედროვე სკოლაში მოსწავლემ ეს ფაქტორი ფართოდ უნდა გაითვალისწინოს და ღრმად შეითვისოს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. სკოლამ უნდა მოამზადოს ისეთი მომავალი თაობა,რომელიც მზად იქნება მხარი აუბას ტექნიკის პროგრესს.

თანამედროვე კომპიუტერის შესაძლებლობის არენა ფართოა; კომპიუტერი ქმნის ავტომობილისა და თვითმფრინავის ახალ მოდელს,იგი ქარხანაში წარმართავს ტექნოლოგიურ პროცესს,კომპიუტერის დახმა-